№ 38 ფებერვალი 16, კვირა. 1886 ფებერვალი 16, კვირა № 38

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

17 თებერვალს, ორშაბათს დღეს
ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში
იქნება გამართული:

ბალი

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ.

მანდილოსანთ შეუძლიანთ დაესწრონ ბალს გულ-ამოუჭრელ კაბებითაც.

ბალი დაიწყობა ცხრა საათიდამ.

ბილეთების ფასი ორ-ორი მანათია.

ბილეთები ისყიდება შავერდოვის საგენტოში და «კრუჟოკის» შვეიცართან. (6—6)

ოთხშაბათს, 19 ფებერვალს
«ტფილისის კრუჟოკის» დარბაზში
«ქართულის დრამატიულის საზოგადოების» სასარგებლოდ
იქნება გამართული:

ბალი

ბალი დაიწყობა 9 საათზე

ბილეთები ისყიდება: შავერდოვის პავილიონში, სტანისლავ ჩარახჩიანის მაღაზიაში და «კრუჟოკის» შვეიცართან.

ბილეთის ფასი ორი მანათი. მანდილოსანთ შეუძლიანთ დაესწრონ გულ-ამოუჭრელ კაბებითაც.

ქართული თეატრი

დღეს, კვირას, თებერვლის 16-ს
ბენეფისი კასხირის
მ. ვ. ფირალოვისა
ქართულის დრამატიულის დასისაგან
წარმოდგენილი იქნება:

I

თამარ ბატონიშვილი

ისტ. დრამ. 5-ს მოქმედ., გად. კ. მესხისა

II

ოინბაზი

ანუ

პრიკაშჩიკი შკაფში

კომედია 1 მოქმედ., ავ. ცაგარლისა

III

ლეკური

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 15 ფებერვალს

მესამე დიდი სახელმწიფო ევროპისა არის ავსტრო-ვენგრია. მას აქედ, რაც ნაპოლეონ III პოლიტიკამ ხალხთა ერთმანეთში განწყობისა და მოთავსებისათვის დედა-აზრად გვარ-ტომობა ანუ, ვრცლად რომ ვსთქვათ, ეროვნება წამოაყენა, ამ დედა-აზრმა ძლიერ გაშალა ფრთა. ამ დედა-აზრმა ერთად მოუყარა თავი იტალიას და დააბინავა, ამავე დედა-აზრმა შეაერთა გერმანიაცა და დღეს ჯერი სლავიანებზედ არის მიმდგარი. ეს დევი დედა-აზრი, ერთხელ გაღვიძებული, ერთხელ დაძრული, იმოდენად ძლიერია, რომ დღეს მის მიერ უკან დახევა შეუძლებელია და არც ჯერ სხვა მისი მგზავსი არა არის რა ევროპაში, რომ წინ დაუდგეს და გამკლავება გაუბედოს. ეგრედ-წოდებულის აღმოსავლეთის საქმეს ძირი ამ დედა-აზრის მოძრაობაა სლავიანების სამეოხედ.

ისტორიის მსვლელობამ ყველაზედ მეტად სამს დიდს სახელმწიფოს ევროპაში გაუნაწილა სლავიანები: ერთი რუსეთია, მეორე ავსტრია და მესამე ოსმალეთი. რადგანაც ყველანი ჰგრძნობენ, რომ ოსმალეთს ანდერძი უკვე აგებული აქვს ევროპაში და გაჭირება მარტო იმაშია—მისი სამკვიდრო როგორ გაინაწილონ, ამიტომაც დანარჩენს ორს სახელმწიფოს თვალი ჰრჩებათ ოსმალეთის სლავიანებზედ და თვითვეული ჰსცდილობს თუ სრულად არა, დიდი ლუკმა მაინც მოიჭრას თავისათვის. აშკარაა, რომ სადაც უფრო მრავალი სლავიანები თავს მოიყრიან, დანარჩენებსაც ზემოდ ხსენებული ეროვნებური დედა-აზრი პირს იქით აქმნევინებს და თუ დროებით ვისმეს შეჰრჩებიან, ბოლოს ხელიდამ გამოეცლებიან. ავსტრიას რომ ეს საქმე დაემართოს, თითქმის ცარიელზედ უნდა დასჯდეს და პირველ ხარისხოვან სახელმწიფოის ტახტიდამ გარგა ძირს ჩამოჰხტეს. ამისთანა ყოფაში ჩავარდნას, რა თქმა უნდა, ავსტრია არ მოინდომებს და არც სხვა სახელმწიფონი მიიყვანენ საქმეს აქამდე, რადგანაც ეგრედ-წოდებული «უღელი ევროპის სასწორისა» გამრუდდება და ერთ მხრივ გადიწევს დანარჩენთა საფრთხალად და სამუქაროდ. აქედამ ცხადია ჯერ ისა, რომ ავსტრიისა და რუსეთის შორის მეტოქობა ევროპაში იქიდამ წარმომდინარობს, რომ ერთსაც უნდა სლავიანთა დედა-აზრის მატარებელი და განმახორციელებელი იყოს და მეორესაც; მეორე ისა, რომ ევროპაც მოწადინებულია ავსტრია ძლიერი იყოს და ამიტომაც ყოველ შემთხვევაში ესარჩლება, ჰფრთხილობს არავის გააქელვინოს და ეხლანდელი ძლიერება მაინც შეარჩინოს.

ავსტრო-ვენგრიაში უფრო სამი გვარ-ტომობის ერია მომწყვდეული, ვენგრები ანუ მადიარები, ნემენცები და სლავიანები. ეს უკანასკნელნი კარგა მოზდილს ნაწილს შეადგენენ. ვიდრე ავსტრია გერმანიიდამ გამოიძევოდა, რასაკვირველია, მისი არსებობა ნემენცთა გვარ-ტომობაზედ იყო დამყარებული და ყოველი სხვა გვარ-ტომობის ხალხი ნემენცთ გვარ-ტომობას ენაცვალებოდა. ბისმარკის ოსტატურმა პოლიტიკა ჯერ 1859 წ. შეარყია ავსტრიის ბრძანებლობა გერმანიაში და მერმე 1866 წ. ასეთი საქმე დააწია, რომ ავსტრია გუდ-აკრეფილი სრულად გამოაძია გერმანიიდამ. ამ ამბავმა იმავ დღეს აიძულა ავსტრია თვისთა დანარჩენთა ხალხთა შორის ამოერჩია ერთ-ერთი უფრო ძლიერი, უფრო მომზადებული და იმაზედ დაემყარებინა თვისი პოლიტიკური აგებულება და კეთილ-დღეობა. ამისთანანი აღმოჩნდნენ მადიარები. რადგანაც ერთის მხრით ძველი ტრადიციები ჰაბსბურგის გვარეულობისა, რომელიც დღეს ჰხელმწიფობს ავსტრო-ვენგრიაში, ნემენცობას არ ავიწყებს ავსტრიასა და უამისოდაც ავსტრიის ნემენცობა ასე თუ ისე ძლიერად ზედმოქმედობს საქმეთა მიმდინარეობაზედ და მეორეს მხრით მადიარობა ძლიერი აღმოჩნდა თავისის ეროვნებურის ძალ-ღონიერობითა, ამიტომაც ავსტრია იძულებული შეიქმნა გაორთავებულიყო, თუ ესე შეიძლება თქმა: ორ-ცალკე

ფელეტონი

სიმღერა

ისევ შენ, ისევ ქალაო,
მომხედე, გამიცინია.—
შენ მაინც ნუ მიღალატებ,
მოვკვდები—დამიტირია.
მაღლისა მთისა წვერზედა
საფლავი გამითხაროდი,
ჩემის სამშობლოს ქვიშანი
ხშირ-ხშირად მომაყაროდი.
ქვეყნისგან დავიწყებულსა
შენც დამივიწყებ მალეო;
მალე იშოვი საქმროსა,
უკან გაჰყვები ხვალვეო.
ემ კლდეებს მაინც შესტირე
დანაბარები ჩემია:
იდგნენ გულ-სალნი ამაყად,
არ შამაუშვან მტერია!
ნუ დაიწყებენ ჩამოშლას...
არწივთ მოზარდონ წიწილნი,
დაჰბრუნონ ჩემსა სამარეს,
მალ-მალ მაილონ ბიბინი;
შთენმა ახარონ ყვავილნი,
კისრით ატარონ ნისლები,
მკვდარს გულზედ ნამი მანამონ,
ისევ ცოცხალი ვიქნები.

ვაჟა-ფშაველა

ჩემი ალსარება

(ფელეტონის თავ-გადასავალი)

> О, какъ тяжела ты, шапка Мономаха!
>
> Пушкинъ.

II

დიდად დამნაშავე ვარ მკითხველთან, რომ ჩემს დაპირებას ვუმტყუნე და, მიზეზისა გამო სხვისა-და-სხვისა, დღევანდელი ფელტონი მეტის-მეტად დავაგვიანე. თუ ეს მკითხველს არ შეუნიშნავს —დიდად მწყენია, თუ შენიშნა და რამე უგვანი მიზეზით ახსნა პირობის აუსრულებლობა — კიდევ უარესად. «უგვან მიზეზად» ამ შემთხვევაში მე ვთვლი იმ გვარ მიზეზს, რომელიც მე უდანაშაულოდ მხდის და ჩემს ცოდვას ვისმე სხვას, აი, მაგალითად, ბ-ნს რედაქტორს ახვევს თავზე. მართალია, ხან-და-ხან, როცა განსაცდელი და ჰაპან-წყვეტა გაზეთის თანამშრომელობისა მეტად გამაწიწმატებს ხოლმე და სამართლიანი რისხვა უსამართლოდ აღმჴურავს თანა-მოძმის და თანა-წამებულის წინააღმდეგ, ამ გვარს შეცდომას მე არა თუ არ შევუშინდებოდი,—პირ-იქით, კიდეც მივესალმებოდი წრფელის გულით, მაგრამ ეს ხომ უსამართლობაა! საქმე იმაშია, რომ მართალი რომ სთქვას კაცმა, ჩვენს ტანჯვა-წამებაში არავინ არაა დანაშაული: არც მე, არც შენ, არც ის, არც მკითხველი, არც მწერალი, არც რედაქტორი, არც ზედამხედველი, ხოლო ისე კი გამოდის როგორღაც, რომ თითქო ყველა დამნაშავეა და ყველას მოგვდის ერთმანეთზე გული. ეს გასაოცარიც არ არის! გაზეთის საქმე რაღაც იმ გვარი რამეა, რომ ყველა მასთან შეკავშირებულნი, თითქო რგოლებსავით არიან გადაბმულნი ერთი-ერთმანეთზე და ერთს ტაფაზე იხრაკებიან. შეარყევ თუ არა ერთს რგოლს, ის მეორეს ეცემა, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს და მიდის ასე ამ ნაირად განუწყვეტელი ცემა-ტყეპა და ურთი-ერთ-შორისი უსიამოვნობა. მე, ერთი იმ ბევრთაგანი, რომელნიც ერთს ტაფაში იხრაკებიან, იმას როდი ვაქცევ ყურადღებას, რომ ჩემს გვერდით სხვაც იწურება ოფლში, სხვაც ჰკვნესის და იხრავს,—არა, მე სულ ის მიდგია თვალ-წინ, რომ ეს «სხვა» ჩემი მტანჯველია, რომ ამ «სხვისაგან» ტანჯვის სიმწარეში გამოსროლილი წიხლი მეც მხვდება, რომ მისი კვნესა და ვაი-ვაგლახი ჰბადავს ჩემს კვნესას,—და მაშასადამე ისაა წყარო დაუშრეტელი ჩემის მწუხარებისა!... ამ მოსაზრების მიხედვით ყველას თავდარიგი გვიკავია და იჭვის თვალით შევყურებთ ერთი მეორეს.

—ჰმ, ეს სულ მისი ბრალია! ვწყრები მე რედაქტორზე, როცა ჩემს წერილში ვჰხედავ რამე არა სასიამოვნო ცვლილებას.

—გიცნობთ, გიცნობთ, რა ვაჟ-ბატონიც ბძანდებით! მუქარით ამბობს რედაქტორიც. შახე ერთი რაები მოუჩმახავს,—გაზეთი უნდა გამიუქმოს.

—«ჩხიპ, ჩხიპ!» უსომს კალამს და აკვეცს ფრთებს ხელ-ნაწერს.

—პა, პა, პა, პა! რაებს გზავნის, რაებს გზავნის ეს ღვთის მტერი! მახეს მიგებს რაღა! ამბობს წყრომით და თავის ქნევით...

—თუმანო, ჩემო თუმანო, ქალწულის ლოყასავით წითელ-ლაქვარდო თუმანო! რა ულმერთოებს ჩავუგდე შენი თავი ხელში! იხრავს თავის მხრით სალიუსბიურის და ჩემბერლენის ამბებით გამოყრუებული მკითხველი...

და ყველანი ერთად კი ვსწყევლით თავის ბედს, ყველა ვფიქრობთ, რომ მსხვერპლი ვართ უბიწო გულ-ქვაფთა შორის, ყველა ვლაღადებთ სასო-წარკვეთილებით: «გარე-მომადგეს მე ზვარეკაბ მრავალ, და კუროთა პოხილთა მომიცვეს მე. აღაღეს ჩემზედა პირი მათი, ვითარცა ლომმან მტაცებელმან და მყვირალმან».

⁂

ყველაზე უფრო დამაფიქრებელი ამ მდგომარეობაში ის არის, რომ არ იცი, რა დროს და როგორ დაგეცემა მტერი, რა მიზეზი გამოიწვევს შინაურს შფოთს და რა განამტკიცებს ხოლმე მშვიდობას და კეთილ-განწყობილებას. რედაქტორის გული ამ შემთხვევაში—მგრძნობიარე ბარომეტრია, რომელზედაც თითქმის ყოველს, ხან-და-ხან სულ უბრალო, მიზეზსაც კი აქვს ზედ-მოქმედება. ამის გამო, ცხადია, რომ შენ, უბრალო თანამშრომელი, შედიხარ რედაქციაში, როგორც ცეცხლ-მფრქვეველ მთის წვერზე და არ იცი რას ნახავ იქ—მყუდროების წალკოტს, თუ რისხვის ცეცხლს და ზარ-დამცემს ჰექა-ქუხილს.

ამ ორში ერთი—აუცილებელია ყოველთვის.

გააგზავნე, ვსთქვათ, დილას ხელნაწერი რედაქციაში და მიდიხარ მერე იქვე საღამოს ამბის შესატყობად: როგორ და რა? ვითომ. კრძალვით და მოწიწებით აღებ რედაქციის კარს და სასო-წარკვეთილების გამბედაობით, როგორც კაცი, რომელიც ყოველ წამს მოელის თავ-დაცემას და მზათაა მოსაგერებლად, გაჰყურებ სამუშაო ოთახის სივრცეში. ბ-ნი რედაქტორი მისჯდომია დიდს, ფართო სარედაქციო სტოლს და მიჰსცემია ტკბილ ოცნებებს. მარჯვენივ, როგორც სარდალს საომარს მინდორზე, უდგანან მას გვერდით მისი მებრჰენი, სარედაქციო დავთრები, რომელთაც ის ხან ტკბილად გადაჰხედავს, თითქო უნდა კიდევ ერთხელ დარწმუნდეს, რომ აქ არიან ჩემი ნუგეშ-მცემელნიო, ხან სიყვარულით, როგორც ახლად-შეყვარებული თავის სატრფოს წერილში, ჩახედავს აქა-იქ, ხან სასოებით გადუსვამს ხელს და ეალერსება,

მომქმედ ნაწილად გაიყო, ერთი იმიერ-ლეიტანია და მეორე ამიერ-ლეიტანია (ცისლეიტანია და ტრანსლეიტანია). ორსავე ნაწილს ცალ-ცალკე სამინისტრო აქვს, ცალ-ცალკე პარლამენტი თვითვეულის საკუთარ საქმეების გამგეობისა და მართველობისათვის. ერთობა ამ ორთა ნაწილთა შორის განხორციელებულია ჯერ იმითი, რომ ერთი ხელმწიფე ჰყავთ და მეორე იმითი, რომ ჯარი და სახელმწიფო ფინანსები საერთოა და საერთო სახელმწიფო საქმეებში ერთად იღწვიან და მოქმედობენ.

ამ სახით სლავიანთა მოძრაობაა ის ქსელი ავსტრიის გარეთა საქმეებისა, რომელშიაც გაბმულია დღეს ავსტრო-ვენგრია. გარდა ამისა, თვითონ ნემეცები ავსტრიისა გერმანიისაკენ ძალიან მიიზიდებიან. ესეც ერთი თოკის წვერია, რომელიც ხელთ უპყრია ბისმარკსა და რომელიც ჰხლართავს ერთმანეთში ავსტრო-ვენგრიის და გერმანიის საქმეებსა.

ესეც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ავსტრო-ვენგრია ერთს ადგილს მომწყვდეული სახელმწიფოა და ხმელეთიდგან ზღვისაკენ გზა არა აქვს. ესეთი მდებარეობა აიძულებს ავსტრო-ვენგრიას ხმელთა-შუა ზღვისაკენ გასავალი გაიხსნას ადრიატიკის ზღვეითა. ეს ვერაფრად უხდება ჯერ ინგლისსა და მერე იტალიასაც, რომელსაც გარდა ამისა იმისი წყურვილიც აქვს, რომ ტრენტინო და ტრიესტი, ეხლა ავსტრიის სახელმწიფოში მომწყვდეული, შემოიერთოს, რადგანაც ტრენტინოსა და ტრიესტში უფრო მომეტებული ნაწილი იტალიელები არიან. აი რა თოკები ეზიდება ავსტრო-ვენგრიის საგარეო საქმეებსა.

ახალი ამბავი

*** სოფელ ოსიაურიდამ (გორის მაზრა) გვწერენ: «სოფელი ოსიაური ხაშურის სტანციიდამ ორის ვერსის სიშორეს მდებარეობს. აქ შავი მიწა არის და როდესაც კი ცოტაოდენი წვიმაა, ან თოვლი დნება, ისეთი ტალახი დგება გზებზე, რომ არამც თუ ფეხით, ცხენით და ურმითაც სიარული ძნელად თუ შეიძლება ხოლმე. ეს სოფელი კი იმისთანა ადგილას მდებარეობს, რომ ხაშურში ქვემო სოფლებიდამ მიმავალი ხალხი ამ სოფელს ვერა გზით ვერ აუქცევს და ზედ უნდა გამოიაროს. მაგრამ რა წვალებასა და ტანჯვაშია კაცი, ამას მხოლოდ ის წარმოიდგენს, ვისაც კი ამ დროს აქ სიარული შეხვედრია.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ტფილისის უწინდელმა გუბერნატორმა თავადმა ჯაგარინმა და გორის მაზრის უფროსს უბძანა, ოსიაურიდამ ხაშურამდე შინაურის ღონის-ძიებით გზა-ტკეცილი გაეკეთებინათ. მაზრის უფროსმაც, თავადმა ერისთავმა განკარგულება მოახდინა ამ საქმის შესახებ და ვგონებ, ორმოცზე მეტი რკინის ბარები და თოხები გამოუგზავნა ოსიაურის მამასახლისს მუშებისთვის დასარიგებლად, მაგრამ რაკი იმ მოკლე დროში თავადი ერისთავი უფროსობიდამ გამოსცვალეს, გზის გაკეთებასაც ყური აღარავინ უგდო».

*** იქიდამვე გვწერენ: «ხაშურის ვაგზალთან სახელოსნოა, სადაც სხვა-და-სხვა მაშინები და იარაღი მუშაობს, რომელთა ნარეცხი წყალი მდინარე წყალში ჩამოდის. ეს წყალია «სურამულა» ხაშურიდამ ოსიაურში შიგ შუა სოფელს ჩამომდინარეობს. რასაკვირველია, იმოდენა მაშინების და იარაღის ნარეცხი სხვა-და-სხვა ნავთით, ქონით და საწამლავის მზგავსის ჭუჭყით შეზავებული თან მოსდევს. ნარეცხი ისე ბევრია, რომ წყლის ზედა-პირი მთლად შეკრულია და რამდენსამე ფერად ეთამაშება მზეს. იმ წყალს არამც თუ კაცი, პირუტყვიც კი ვერა სვამს; არც სარეცხისთვის იხმარება. ამაზედაც სთხოვეს მიეღოთ რამე განკარგულება და დაეხსნათ აქაური ხალხი და საქონელი ამ ჭირისაგან, მაგრამ დღევანდლამდე არა ისმის-რა და ვართ ასე გაჭირვებულნი».

*** ამას წინად ტფილისის ცხენის რკინის გზის მმართველობას განზრახვა ჰქონდა კონდუქტორებისთვის ჯამაგირები დეეკლო. თუმცა ბევრი სთხოვეს და ეხვეწნენ კონდუქტორები, ხსენებულმა მმართებლობამ უარი უთხრა. ამის გამო, 14 თებერვალს დილით ყველა კონდუქტორები იუნკერის სკოლის მოედანზე მოგროვდენ და უარი განაცხადეს ვაგონი ეტარებინათ და თხოულობდნენ, რომ რაც ერგებოდათ ჯამაგირი მიეცათ და გაესტუმრებინათ. კონდუქტორებთან მოლაპარაკების შემდეგ გარდასწყვიტეს, რომ ჯამაგირები არ დაეკლოთ და მხოლოდ დილის 9 საათზე დაიწყეს ვაგონებმა მოძრაობა. («Нов. Обоз.»)

*** გუშინ, 13 თებერვალს სანიტარულ კომისიამ გასინჯა რამდენიმე გასტრონომიული მაღაზიები და ხორაგეულობის დუქნები. სხვათა შორის ლუისა, ადოლფ შაინის (მიხეილი) და ბეგლარ კოჩაროვის მაღაზიებში უპოვნიათ 3 ფუთამდე დამპალი ძეხვი, 15 გირ. გაფუჭებული ლორი და 10 გირ. გამოუსადეგი ხმელი თევზი. ყველა ეს გაფუჭებული ხორაგი პოლიციამ გადააყრევინა და ხსენებულის პირების წინააღმდეგ კი საჩივარია სუდში შეტანილი. («Нов. Обоз.»)

*** 14 თებერვალს პოლიციის მე-10-ე განყოფილებაში ტფილისის რკინის გზის სადგურზე მიწის თხრის დროს ქვეშ მოჰყოლია ლეკი ნურალ-ზარ-ბერთინ-ოღლი. მკვდარის გვამი ანატომიურს კაბინეთშია გაგზავნილი.

ნაკვესი

ერთი უცხოელი სჩიოდა:

— მე რომ აქ თქვენთანა ვარ, თქვენთვის ვწვალობ, თქვენთვის ვიტანჯებიო და თქვენ კი არ მაფასებთო.—

— როგორ არაო,—მიუგო აკაკიმ: მეტი არა შეგვიძლიან-რა და ღმერთსკი ყოველ-დღე ამას ვეხვეწებითო: «ყოვლად-შემძლებელო, ნუ სტანჯავ ამ კაცს უბრალოდ ჩვენთან, შენ მოუმართე ხელი და საიდამაც მოსულა, იქვე წაიყვანეო.»

სოსო

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მოხელეები ყველგან უბად არიან აღებულნი. ვისგან და სად არ გაიგებ სამდურავს, საჩივარს, რომ მოხელეები უგულოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, საქმეს გულ-აცრუებით ეკიდებიანო.

ყოველ-დღიური ცხოვრება აშკარად გვიმტკიცებს იმ სამწუხარო ჭეშმარიტებასაო, ამბობს გაზეთი «*Русскій Курьеръ*»-ი, რომ სახელმწიფო სასამართლოების სხვა-და-სხვა წარმომადგენელნი და მოხელენი უფრო მეტს ყურადღებას აქცევენ გარეგან სახეს, საკანცელარიო საქმეს, შტემპელებს, მარკებს, ხელის-მოწერას, ვიდრე ცოცხალის კაცის საქმეს, მის ღირსების დაცვას და კანონიერად დაკმაყოფილებას. სამწუხარო უფრო ის არისო, რომ ეს სენი ამ ბოლოს დროს გადაჰსდებიათ ამ გვარ მოხელეთაც, როგორც მომრიგებელი მოსამართლენი არიან.

გაზეთს თავის აზრის დასამტკიცებლად «**Одесскій Листокъ**»-იდამ ერთი მართლა და საყურადღებო მაგალითი მოჰყავს. იალტის მაზრის სოფელ ბაიდარაში სევასტოპოლიდამ მისულა მომრიგებელი მოსამართლე საქმეების გასარჩევად.

რამდენად «სწრაფად აწარმოებდა საქმეებს» სევასტოპოლელი მსაჯულიო, ამბობს გაზეთი, აშკარად დაინახავთ შემდეგის მაგალითიდამაო. 30 იანვრისთვის სწრაფია-მსაჯულს დაენიშნა გასარჩევად ასოცდაათი საქმე. ამაზედ მეტი სისწრაფე განა კიდევ შეიძლება! სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, თითო საქმის გარჩევას 15 წუთი მაინც მოუნდებოდა; მაშასადამე ყველა საქმეების გარჩევას მთელი დღე და ღამე უნდა მოსდომოდა. მაგრამ, განა კაცს შეუძლიან 24 საათი განუწყვეტლივ იმუშაოს? ვთქვათ, სამსჯავრო წარმოებდა მარტო 12 საათს; მაშინ თითო საქმის გარჩევას 5—6 წუთზე მეტი არ ერგებოდა წილად. რამდენად ამ შემთხვევაში «სისწრაფესთან» სიმართლე და «სიბრალული» დაცული იქნება, ეს სულ სხვა საქმეა...

სხვათა ჭირი, ღობეს ჩხირიო,—რომ იტყვიან, სწორედ მოხელეებზე და მოსამართლეებზეა გამოჭრილი. კაცი მოდის სასამართლოში, უნდა სადავო საქმეებს თავი დაახწიოს, გულიდამ სევდა მოიშოროს, და აი, ამის მაგიერ, განუკითხავი, გულ-ჩაკლული, იმედ-მიწყვეტილი შინ ბრუნდება და თავის თავსა და ბედს იწყევლის. სად არის კაცის პიროვნების და ღირსების დაცვა? მოდი და ცუდს ნურაფერს იტყვი მოხელეებზე!

***

ან-ბანური ჭეშმარიტებაა, რომ ერთს კაცს იმოდენა საქმის გაკეთება ვერ შეუძლიან, რასაც ხუთი და ექვსი კაცი შესძლებს. ამიტომ, გლეხის ოჯახობაში რაც უფრო მეტი კაცია, მეტი მუშა ხელია, მით უფრო ოჯახობა ძლიერია, შეძლებულია: გლეხის ოჯახის ძალა, მისი ქონებრივი შეძლება და კეთილ-დღეობა მუშა კაცის სიბევრეზეა დამყარებული. ეს ჭეშმარიტება თვითონ გლეხებს ჩვენზე უფრო უკეთესად ესმით. მაშ რა მიზეზია, რომ ხალხი ამ გარემოებას ასე გულ-გრილად ექცევა, ოჯახობა ყოველგან

როგორც მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი მაცხოვნებელ ყორანს. წყნარი და დამამშვიდებელი იდილლია ჰსუფევს რედაქციის დარბაზში. საწერლები დინჯად და დარბაისლურად, დადულებულ ქვევრებსავით, წამოზერილან სტოლზე, თითქო კმაყოფილნი, რომ სინიდისით ვასრულებთ ჩვენ მოვალეობასაო. ზევითიდამ ლამპარი, მაისის მზესავით ჰფენს შუქს არე-მარეს, ნემეცური პროფესსორსავით მოკუზული ბერლინური ფარფორის ჩიბუხი ჰხვნეშს და ბუტბუტობს რედაქტორის ხელში, და თვითონ ბ. რედაქტორი კი როგორც მშვენიერი ევროპას მომხიბლავი იუპიტერი, ხან იმოსება კვამლის ბურუსით და ხან ჰფანტავს მას თავის გარშემო. ალებ კარს და შედიხარ ოთახში.

ბატონს რედაქტორს თითქო ასი თუმანი აჩუქე, თითქო შვილი მოუვიდა დასაკარგიდამ.

— ძლივს! მადლობა ღმერთს! ამბობს ის მხიარულად. არა, სირცხვილი არაა, კაცო, დაიკარგე და აღარა ჩნდები რედაქციაში?.. ჩვენ ხო დაეიქანცეთ შენი ლოდინით, აღარა ვართ მეტი, გავწყდით! ბიჭო! გაჰკივის ის მეორე ოთახში, ჩაი მეირთვას სტუმარს!

— მადლობელი გახლავართ, მე დამილ...

— როგორ შეიძლება! დამილევიაო რას მიჰქვია! ჩაი მალე!

ბიჭს შემოაქვს ჩაი და კოვზების ჩხარ-ჩხურთან ერთად გაისმის და რაკრაკებს რედაქტორის მომხიბლველი ხმა:

— არა, იცით, რაებია და! მოდის და მოდის! მოდის და მოდის გაუწყვეტელად! გუშინ-წინ ხომ ექვსი იყო, გუშინ ათამდის ავიდა, დღეს კი ხუთმეტსაც გადააჭარბა!— მაშ! შენ გგონია, რომ ლაპარაკი სხვა-და-სხვა თვალთ-მაქცებზეა, რომელნიც ამ ბოლოს დროს მართლა რომ ჭიალ-ყვავსავით ჩამოცვივდნენ საიდღამაც ტფილისში, და, რომ ჰსთქვა რამე, უპასუხებ, რომ «ჰო, დაწანწალებენ უსაქმოდ-თქო»!

— როგორ თუ «დაწანწალებენ», ჰწკურავს წარბს რედაქტორი, როგორ თუ «უსაქმოთო»! უსაქმოთ-კი არა,—საზრდოს ეძებენ სულიერს. «არა პურითა მხოლოდ მაძღარ არს კაცი, არამედ...»

აქ, რასაკვირველია, ცხადდება, რომ ჩვენ ვერ მიუხვდით ერთი მეორეს, რომ მე ფლავზე ვლაპარაკობდი თურმე, ის კი ჩლავზე, რომ რედაქტორს მეფოკუსნიკეზე კი არა,— თავის ხელის-მომწერლებზე ჰქონდა თურმე სჯა და ეს პატარა ეპიზოდი არა თუ არ უკარგავს მას მუსაიფის მადას, პირ-იქით, აძლევს კიდეც ძალას მისს მჭევრ-მეტყველებას. რედაქტორს ეხლა როდი ჰყოფნის თავის საქმეებზე ლაპარაკი—ის საჭიროდ ჰხედავს, რომ ჩვენც გვითხრას რამე გულის მოსაფხანი.

— დიიიახ! აგრძელებს იგი, თუ კარგად მიდის რედაქციის საქმები, ეს სულ თანამშრომელების ბრალია. კარგად შევერჩიენით, კარგად მოვხედით ერთმანეთს, აი, კარგად! ყველამ იცის თავის საქმე, ყველას ესმის, რასაც ითხოვს საზოგადოება. ეს დიდი ღირსებაა მწერლისათვის, დიდი! მწერალს ყნოსვა უნდა ჰქონდეს რიგიანი, ერთი შეხედვით უნდა ალღო აიღოს, რასზე და როგორ უნდა ატეხოს ლაპარაკი. ამასთან მის კალამს ფხა უნდა.—ფხააა! აზვიადებს ბ. რედაქტორი და თან ჩუმად, თითქო არავინ გაიგონოსო, უმატებს: ჩვენებს კი, ეს ყოველისფერი, მადლობა ღმერთს,—მონიჭებული აქვსთ ღვთისაგან...... აი, მაგალითად, თქვენ... პირ-ფეროზით კი არ გეუბნებით... სწორედ რომ გიჭრისთ ხან-და-ხან კალამი!.. როცა საჭიროა ია-ვარდს გაშლი, საცა უნდა გასჭრი, როცა მოუხდება დაჰკვეს... ჰმმ! მოსაწონია.... ჩინებულია...

გალაღებული და ფრთა-შესხმული რედაქტორის კეთილ-განწყობილობით, შენ აპირებ ეხლა ადგომას და წასვლას, მაგრამ ჭხედავ, რომ აქაც გიმტყუნა იმედმა.

— რას ამბობ? როგორ თუ სახლში წასვლაო? ერთ-ორ კვირეში ძლივლა გნახეთ და მაშინაც ხანი აღარ უნდა დაჰყო სულ?!..—ბიჭო! ეი, ვინა ხარ მანდ?! სადმე შორს გადაკარგე ამათი პალტო და გაგვიჩალე მალე ვახშამი.

— მადლობელი გახლავართ, მე არ ვეწყობი ვახშამს!..

— თქვენ ყვარელისა უფრო მოგწონსთ, თუ კარდანახის? გკითხავსთ რედაქტორი და გაჩვენებსთ სახეს, რომ არ გამიგონია და ან არ მინდა გავიგონო ვახშმის უარიო.—თეთრიც არის და წითელიც, განაგრძობს იგი; უკანასკნელი კარგია, მაგრამ პირველი კი საუცხოვო. თუ მოსძებნა კაცმა და სურვილიც იქნა, შეიძლება წინანდალიც მოინახოს!..

ვახშამზე რედაქტორის გულ-ლმობიერება უფრო მატულობს. თქვენი და მისი კეთილ-განწყობილება იზრდება თან-და-თან და ბოლოს ჟამს, როგორც გგონია, იჭედება ფოლადსავით. თქვენ ერთად, ხელგაყრილნი, მიბრძანდებით ევროპაში და, რასაკვირველია, ვახშმის სუფრის მიუტევებლად, სჯით და ასამართლებთ ევროპის წარჩინებულ პირებს. ამ სჯა-განსამართლებაში ყველაზე უფრო მოსაწონი თქვენი თანხმობა და აზრთა ურთიერთ თანასწორობაა. ორივენი ყაბულსა ხართ, რომ ბისმარკი დიდი გაიძვერა ვინმეა და როდესაც იქნება, ღვთით, წაამტვრევს რასმე ფეხს. ორივეს გჯერათ, რომ გლადსტონი, ცოტა არ იყოს, მოხუცდა, მაგრამ მაინც არა უშავს რა ჯერ-ჯერობით... გრევი!.. ჰო, არც გრევია ცუდი კაცი. მართალია, პურადობაში ვერაა თურმე ნაქები, მაგრამ კარგი ის არის, რომ ფახები არ უყვარს სხვებსავით: არის თავისთვის ჩუმად და ზარბაზნების აქა-იქ გადათრევ-გადმოთრევის მაგიერ, უვლის და ასაზრდოებს შინაურს იხვებს. რისთვის, ესეც კარგია!—არა გვანებიი ამ შემთხვევაში აი თუნდ დელიანუსს. ახ, ეს დელიანუსი! ოხ, ეს დელიანუსი! მხთალი და ლაჩარი დელიანუსი! რაებს სჩადის, რას არ მიედ-მოედება უთავ-ბოლოდ. ერთი წელიწადია აცხადებს ომს და ვერ გაუბედნია, სცდილობს მშვიდობიანობის დამყარებას და ვერ მოუხერხებია! ეს კაცია?—ეს მინისტრია? ეს-ღა უნდა იყოს ერის სვე-ბედის პატრონი? ძირს დელიანუსი!

აქ, ასე გასინჯეთ, საბერძნეთის საბრალო მინისტრის ბედი საბოლოოდ ჰსწყდება. თქვენი და რედაქტორის შეთქმულობა უმზადებს მას სასტიკ სასჯელს—ზარ-დამცემს წერილს ქართულ გაზეთში. ეს წერილი უნდა დაჰსწეროთ თქვენ და უნდა იქნეს დაბეჭდილი უკანასკნელ ორ-სამ დღის განმავლობაში.

ამის შემდეგ, ორი გულითადი მეგობრები და დელიანუსის მოსისხლე მტრები ეთხოვებით ერთი მეორეს. რედაქციის შვეიცარი მოწიწებით გა-

იშლება, გაყრა სენად გარდაქცეულა. ეს მოვლენა მარტო ჩვენში კი არ არის, რუსეთში უფრო უარესად არის გავრცელებული. რუსეთის მწერლობამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია და იკვლევს ამ მოვლენის მიზეზებს. აი სხვათა შორის გაზეთ «Саратовскій Листокъ»-ს რა მიზეზი მოჰყავს.

> ეხლა რუსეთი ის აღარ არის, რაც ამ ორმოც-და-ათის წლის წინად იყო; ამ ხანის განმავლობაში გლეხის ცხოვრებაც დიდად შეიცვალა. ეხლა სადღა შეჰხვდება კაცი იმისთანა ოჯახობას, როგორც უწინ, როდესაც მთელი ოჯახობა ერთის—სახლში თავი—კაცის ხელში იყო. დაწვერ-ულვაშიანებული, ხანში შესული კაცები ხმა ამოუღებლივ ემორჩილებოდნენ ყველა ბძანებას ოჯახის თავისას—როგორც მამასახლისს და მახლობელ უფროსს. არც ერთს ოჯახის წევრს, დედა-კაცებს ხომ თქმა აღარ უნდა, ხმა არა ჰქონდა ოჯახობის საქმეებში, ოჯახის უფროსს ვერავინ ვერც წინააღმდეგობას, ვერც ურჩობას ვერ გაუწევდა, ყველას კრინტ დაუძრავად თავის უღელი უნდა ეტარებინა და ამ უღლიდამ თავის დახსნა ვერავის შეეძლო. ამის ერთი მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო, რომ მთავრობას ყოველთვის უფროსის მხარე ეჭირა და ურჩს ოჯახის შვილს სასტიკადა ჰსჯიდა. ეხლა კი გლეხის ცხოვრებამ ფერი და ხასიათი სრულიად შეიცვალა; ბატონ-ყმობიდამ განთავისუფლებამ, გლეხობის თვით-მმართველობამ, მომრიგებელ-სასამართლომ, საერო სკოლებმა,—ყველა ამეებმა დიდი გავლენა იქონიეს და გლეხის ცხოვრებაში სხვა გვარი მიმდინარეობა, მიმართულება დაჰბადეს. გლეხმაც ეხლა თავი ცოტათი მაინც იცნო, თავის თავს უფრო მეტს პატივსა სდებს, თავის კაცურის ღირსების ფასი გაიგო. ეხლა არამც თუ ნებას მისცემს თუ გინდ ოჯახის უფროსს, მკაცრად, სასტიკად, დესპოტურად მოექცეს, უბრალო უსიამოვნობასაც ველარ მოუთმენს, თუ გინდ მშობლებიც იყვნენ. როცა კაცი თავის პიროვნულს ღირსებასა ჰგრძნობს, უსამართლობას ველარ აიტანს.

არა მგონია, ჩვენში კი სხვა მიზეზები მოქმედობდნენ: ძალა და სასტიკობა მტკიცე ერთობას ვერ შეჰქმნის. ეს ჭეშმარიტება ერთ-გვარად მართალია, როგორც ცალკე ოჯახისა, ისე მთელის ერისათვის.

⁂

ბ-ნი კომაროვი თავის გაზეთ «Свѣтъ»-ში შემდეგს მოგვასწავებს:

> რუსეთი სრულებითაც წინააღმდეგი არ არის, ადგილობრივი კანონები და ეროვნული განსხვავებანი შეწყნარებულნი იყვნენ. ყველა ჩვენს სახელმწიფოს ნაპირებზე ადგილობრივი კანონები ჰსწარმოებენ; ბევრს ჩვენ მფლობელობას თავისი საკუთარი თვით-მმართველობა აქვს მინიჭებული.

ჩვენ სრულიადა გვრწამს პატივცემულის გაზეთის სიტყვები, მაგრამ სამწუხაროდ ბ-ნი კომაროვი ძალიან ბუნდად ლაპარაკობს და ვერ მივუხვდით ვისზედ ლაპარაკობს.

⁂

ბისმარკის სიტყვის ხმაურობა ჯერაც არ შაწყვეტილა. ვინ არ აალაპარაკა ამ სიტყვამ! რუსეთის და პოლშის გაზეთები ბისმარკისაგან აღძრულ პოლიაკების საქმეს ათას-ნაირად ჰჭრიან და ჰკერვენ. აი სხვათა შორის რას ამბობს გაზეთი «Варшавскій Дневникъ»-ი:

> მამულის-პატრონნი პოლიაკები პოდოლიასა და კიევის არე-მარეში რომ თავიანთვინ დინჯად ყოფილიყვნენ, როგორც, მაგალითად, ფრანგები და ნემეცები,—ხმას არავინ გაჰსცემდათ. მაგრამ პოლიაკები გაიძახოდნენ «ომიო» და ჩვენც ბანს ვაძლევდით იმათ ხმაურობას. ჩვენც ჩვენი საკუთარი ეროვნებურ—სახელმწიფოს იდეალი გვაქვსო; შიშით შევყურებთ ჩვენს დასავლეთის და სამხრეთის სამზღვრებს, რომლებიც უცხო ერებით არიან შემოზღვუდულნი. ბევრს ამათგანსა, მართალია, არ უდევს გულში ჩვენის სახელმწიფოს განშორება, ეროვნული განცალკევება; მაგრამ, ამ ბოლოს დროს, როგორც ეტყობა, ჩვენის სახელმწიფოდამ განცალკევების სურვილი უკვე იბადება ესტთა და ლატიშთა შორის, ლიტველები ხომ დიდი ხანია ამას შეჰნატრიან. უნდა ყური აცქვეტილი გვქონდეს, რომ ამ ეროვნულმა აზრმა სხვაგანაც ფესვი არ გაიდგას. ეს არის ეხლა ჩვენი დღიური ბოროტი. ეროვნული და სოციალური მოძრაობაა საშიშარი და დასაფიქრებელი ეხლანდელის სახელმწიფოსთვის და არა პოლიტიკური.

⁂

გაზეთს «Новое Время»-ში ერთი სასაცილო ამბავი შეგვხვდა:

> ერთს გაზეთში სწერდნენო, ამბობს გაზეთი, ვითომ ჩემბარში «ქალაქის თავი» ძაღლებმა შეჭამესო. სხვა გაზეთებიდამ სასაცილოდ ჩვენც გადმოვბეჭდეთო. თურმე ნუ იტყვით, ეს ამბავი ბევრს ნამდვილი ჰგონებია, ეხლა კი გვწერენ, რომ ჩემბარის ქალაქის თავი ცოცხალია, კარგად არის, და ძაღლებს ამის შეჭმა სრულიად ფიქრადაც არ მოსვლიათო. საკვირველია, ზოგჯერ კაცის ბედიო: ვის გაახსენდებოდა ჩემბარის ქალაქის თავი, ძაღლები რომ არა ყოფილიყვნენო?

მართლა და ჩემბარის ქალაქის თავის ბედს ეხლა ძაღლებიც აღარ დაჰჭყეფენ!

⁂

ნემეცურ გაზეთის «*Allgemeine Zeitung*»-დამ შევიტყეთ, რომ ვითომ გამოჩენილს რუსის მხატვარს ვერეშჩაგინს განზრახვა აქვს რამდენიმე სცენა ლონდონის არეულობიდამ დაჰხატოს. ამავე გაზეთის სიტყვით, აი ბ-ნი ვერეშჩაგინი თურმე რასა სწერს ინგლისურ გაზეთ «*Daily News*»-ის პარიჟელ კორრესპონდენტს:

> მე შემთხვევით ვიყავი ლონდონში ამბოხების დროს და ჩემის თვალითა ვნახე ის საშინელი ამბავი, რომელიც «ტრაფალგერ-სკვერში» მოხდა. საშინელი იყო ხალხის მღელვარება; ვშიშობ, შეგზარავს, მაგრამ მაინც სულ ქვეშ ვამბობ, რომ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სულიერი არსება, ესე შიმშილისაგან მიხრწნილი, ძალ-ღონე გამოლეული, ტანსაცმელ დაგლეჯილი და მწუხარებისაგან საზარლად გაბოროტებული და გაშმაგებული. ენა ვერ გამოსთქვამს, კალამი ვერ გამოჰხატავს იმ სურათსა, რომელიც მე თვალ-წინ წარმომიდგა, როდესაც ამ უბედურთა გამხეცებულ და გაშმაგებულ ბრბოს ვუყურებდი.

შეიძლება, დიდი ფანტაზიის პატრონი, აღტაცებული მხატვარი, ცოტათი საქმეს აზვიადებდეს, მაგრამ ბევრი სიმართლეა კი ამ პატიოსანის კაცის სიტყვებში.

დამაკვირდი!

არიდებ შვილსა სასწავლოდ,
სათუთად გინდა ზრდიდია:
ქვანიცა ჭურიან მინდორად
უხმარი, გასაწბილია.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

ბედი სწორედ უნამუსო ქალია:
ღარიბი ჭკვას, მდიდრის ეშხით მთვრალია.
(შექსპირი)

⁂

ისწავლე, რომ გიყვარდეს უმწვერვალესად ყოველი კაცი, თუ გინდა ბედნიერ და დღე გრძელ-იყო. (მარკ-ავრელი)

⁂

ღონე დედა-კაცისა—მისი უღონობაა.
(ბუასტი)

⁂

ბევრსა მოიკმაზება,
მოიღამაზებს პირსაო:
მარჯვეში კაი ბიჭია,
მარცხში არარად ჰღირსაო.
(გლეხთაგან თქმული)

უცხოეთი

ინგლისი. ლორდ მორლეს უთქვამს, რომ მმართველობის პირველი საქმე და ზრუნვა ირლანდიის დაკმაყოფილებაო. გლადსტონს მიუწერია წერილი ირლანდელ მიწად-მფლობელის ლორდ კესისათვის, რომელიც წერია ირლანდიაში ინგლისის ინტერესების დამცველის საზოგადოებისა და ჰსთხოვს, რომ ყველა კერძო პირთ და აგრეთვე დაწესებულებათ შემატყობინონ დაწვრილებით, რა ჰსურს ირლანდიელებსაო. ლორდ კესისაც თავის მხრით მიუწერია წერილი პასუხად. ირლანდიის საქმე სამის გარემოებისაგან შესდგებაო. ამ სამ გარემოებაში ყველაზე საყურადღებო ის არის რომ საზოგადოებრივი წესიერება იქმნას დაცულიო. ამისათვის საჭიროა, პატივსა სცემდენ «ჩვეულებრივს კანონსაო». ამ პირველ საქმეს ხელს შეუწყობს სამიწა-წყლო საქმის განკარგება. ეს მეორე გარემოებააო. მესამე გარემოება ირლანდიის თვით-მართველობას შეეხებაო. ეს გარემოება უფრო ნაკლებ საყურადღებოა, ვიდრე პირველი ორიო. მართალია, საზოგადო კრებაზედ ერმა სურვილი გამოაცხადა, თვით-მართველობა მოგვეციითო, მაგრამ ჩემის აზრით, ამბობს კეთილშობილი ლორდი კესსი, თვით-მართველობა ერს იმიტომ უნდა, რომ ეხლანდელ მიწათ-მფლობელთ მიწა ჩამოერთვას და ხალხს მიეცეს მეტად არა-სამძიმო პირობითაო. და ეს ხომ უსამართლობა იქნება მიწად-მფლობელთა მიმართო. ინგლისის ინტერესების ღირსეული დამცველი გულ-დაჯერებით ამბობს, რომ ოღონდ-კი ირლანდიელებს სამიწა-წყლო საქმეები მოუწყვეთო და ერი სრულებით აღარ მოითხოვს რაღაც განსაკუთრებულს თვით-მმართველობასაო.

რამდენად მართალია პატივცემული ლორდი, სჩანს ირლანდიელის დეპუტატის ჯონ დილონის სიტყვებიდამ. ჯონ დილონს «ირლანდიის ეროვნულის ლიგის» კრებაზე დუბლინში უთქვამს, მე მზადა ვარო სიხარულით მივეგებო ინგლისელებს, თუ ნებას მისცემენ ირლანდიის ერს სრული და განუკითხველი გამგებელი იყოს თავისის ქვეყნისა და თავის კანონებისაო. ხოლო თუ აღმოჩნდა რომ ვიგები კიდევ გვატყუებენ, ირლანდიის ერი სასოწარკვეთილებას არ მიეცემაო. ჩვენ მაშინ აღარ გავებმითო და იქამდე დავიცდით, ვიდრე გავიგებდეთ, კვლავ გვაცდენენ თუ არა. და თუ აღმოჩნდა რომ გვატყუებენ, ანუ დღე-ნაკლები თვით-მმართველობა მოგვიგდეს, ჩვენ კვლავ დავიწყობთ

ცმევსთ პალტოს, ქუჩის ფარნები გულს-მოდგინეთ გინათებენ გზას და კრძალვით შეგყურებენ აქეთ-იქიდამ, თითქო მათაც ესმისთ, რომ ქუჩაზე უბრალო ვინმე კი არ მიდიხართ,—არა, ბ-ნი რედაქტორის გულითადი მეგობარი და დელიანუსის ძლევამოსილი მტერი.

⁂

გადის რამდენიმე დღე.

დელიანუსის განსაქარწყლებელ წერილით მიეჩქარებით კვლავ რედაქციაში და ფრთა-შესხმული ფანტაზია წინასწარ გიხატავსთ სასიამოვნო სურათს. რასაკვირველია, ჰფიქრობთ თქვენ, რედაქტორი ისევ ისე გულღიად დაგხვდებათ, როგორც წინედ. რასაკვირველია, ჩვენი ბაასი ისევ ისე მშვიდი და ტკბილი იქნება, როგორც ჰყოფილა.

ამ იმედით აღებთ რედაქციის კარს და... სულ სხვა რამეს ჰხედავთ... ჯერ-ჯერობით ის გაოცებსთ, რომ რედაქტორს თითქო არც-კი შეუნიშნავს თქვენი შესვლა და არ მოუხედნია თქვენსკენ. მეორედ ის, რომ რედაქტორის საყვარელი ჩიბუხი აღარ მოქმედობს ჩვეულებრივად და ობლად გდია უდგილო ალაგს. მესამედ... მესამედ და, თუ გნებავთ, მეოთხედაც, თვითონ რედაქტორია რაღაც გასაოცარი!.. აღჭურვილი ვეებერთელა სათვალეებით, ის ჩაჰსჩერებია გულ-მოდგინეთ რედაქციის დავთარს და გაისერ-გამოისერის «ჩოთქის» მარცვლებს.

— ჰმ! ქაღალდი—ესეც შვიდი თუმანი! ასოთ ამწყობელთ ხუთი თუმანი. (ყურუმსალები! ღამის თერთმეტ საათზე გზავნიან კორრექტურას), თანამშრომლებს... ჰმ... მაგრამ, ესენი მოიცდიან! მესტამბეს—ექვსი თუ... ექვსი თუმანი კი არა—ციებ-ცხელება! წამოიძახებს იგი უეცრად გატაცებით. არამზადა ის! აზნაურის ჩოხასავით გადაუბრუნებია მთელი ნომერი. მეძებრებით ვერ მონახავ—ფელეტონის ნაგლეჯი სად არის და ისე წერილის კუდი სად?!. წერილმანი ხარჯი...

მაგრამ წერილმანი ხარჯი ისევ ისე რჩება გამოუანგარიშებელი. რედაქტორმა მოგკრათ თქვენ თვალი, დაგაცქერდათ, თითქო გკითხავთ—«ვინა ხარო»?—და მერე ერთბაშად შამოგიტევსთ:

— არა, ღმერთმანი, იმას მაინც არ მეტყვით, რას მპირებთ? ყოველ-დღეს, ყოველს ჟამს სულ იმას როგორ ვსდიო, რომ ან შენ არ მიღალატო, ან მეორემ არ გამცეს! (ჰმ! არც «დაბრძანდით», «არც როგორ ბრძანდებით»!) გუშინ წინ იმას... ვაჟო, რა ჰქვია?.. აი იმ შენ მეგობარს ასეთი სიტყვა შეეპარებინა თავის სტატიაში, რომ ელდა მეცა, რომ წავიკითხე. იმ დღეს კიდევ თქვენ რაღაც კატის და ძაღლის მტრობაზე სწერდით,—ვინ იცის, რას ნიშნავს ეს კატა და ვინაა ეს ძაღლი!? სადაც რიგია იქ კი იციან და კიდეც ახსნიან ჯეროვანად და, რასაკვირველია, თავზე ხელს არ წაუსმენ რედაქტორს. თქვენ რა, თქვენ განა გეცოდებათ რედაქტორი თუ? სტატიების ფასი—ეს არ შამოგაკლდეთ თავ-თავის დროზე და რედაქტორი თუნდ მეწყერსაც წაუღია—თქვენ რას დაეძებთ!.. ავიღოთ, აი, მაგალითად, თუნდ ის,—განა შეიძლება ასე სტატიების წერა?—არც საგნის ცოდნა, არც კალმის გამჭრიახობა, არც მოსწრებული სიტყვა!—არა, მკვდრებისთვის სწერთ ამ ოხერ სტატიებს, თუ ვისთვის?

აქ ბ-ნი რედაქტორი დაწვრილებით და საგნის ცოდნით გიცხადებსთ, რომ თქვენ არც სიმახვილე გაქვსთ კალმის, არც ფხა (ფხააა! აზვიადებს იგი უწინდებურად), არც სხვა რამ ღირსება და ბოლოს აგვირგვინებს თავის ბრალმდებელს სიტყვას შემდეგი საბუთით.

— ორი დღეა აგერ, ორი გაუთავებელი დღეა ვუცდი ამ ოთახში, ეგებ ერთი ხელის-მომწერი მაინც შამოხოხდეს შეცდომით-მეთქი,—არ შეგჭამოს მეტად მიწამ, თითქო ყველას დაავიწყდათ, რომ გაზეთი გამოდის ქვეყანაზედ!...

⁂

აღშფოთებული და აღელვებული ამ გვარ მოსალმებით, თქვენ ჰფიქრობთ მასზე, თუ როგორ გამოხვიდეთ ძნელ მდგომარეობისაგან და გაახალისოთ რედაქტორი. ერთი მოსწრებული აზრი მოგდისთ ამ დროს თავში და ნელა აცოცებთ ხელს ჯიბისაკენ, სადაც ახლად მოტანილ წერილში ჯვარ-ცმულია მრავალ-წამებული დელიანუსი.

— აი, მოწიწებით ეუბნებით თქვენ რედაქტორს, ახალი წერილი იმ ახირებულ მინისტრზე... დელიანუსზე...

მოსისინე ყუმბარა რომ გაზეთქილიყო რედაქტორის წინ, ვერ მოახდენდა მეტს ვაი-ვაგლახს. ის აპყრობს ხელთ მაღლა და სასო-წარკვეთილებით შეგყვირისთ:

— არა, რას ჩააცივდით ამ დელიანუსს! რა დაგიშავათ ამ დელიანუსმა? რა აქვს თქვენთან გასაყოფი ამ დელიანუსს?—ომს რისთვის არ იწყებსო?! დიდება შენთვის ღმერთო! განა ომის დაწყება და სტატიის დაწერა სულ ერთია? დელიანუსი—ჰკვიანი კაცია, მისთვის რომ არ იწყებს ომს! შორს-გამჭვრეტელი დიპლომატია, რომ არ დასდევს ხალხის უსაფუძვლო სურვილს!.. გენიოსია! გესმისთ თუ არა მოწყალეო ხელმწიფევ!—დელიანუსი—გენიოსია და აგრეთი უნდა იყოს აღწერილი ჩვენ გაზეთშიც!..:

ყურ-ჩამოყრილი მიემგზავრები შინისაკენ. ათას-ნაირი აზრიუს გამტეხი ფაქტები ნათლად ეხატება თქვენ წარმოდგინებას. ერთი რომ—რედაქტორის მიღება, მეორე, რედაქციის შვეიცარის ტუტუცობა—პალტო რომ არ მოგართვათ წამოსვლის დროს, მესამე ეს—ქუჩის ფარნები, რომელნიც, თითქო განგებ, ასე ცუდათ ანათებენ დღეს გზას, მეოთხედ... ჰმ, «მეოთხედ», ეს დელიანუსი! რა უნდა ვუყო, ნეტავ, იმას?!

მეტი რა გზაა! ღამის თორმეტს საათზე, როცა ბ. დელიანუსი, ვინ იცის?—ეგებ ლამაზად გახვეული საბანში, ჰხვრინავს და ჰხრუტუნებს თავის ათინაში, თქვენ უზიხართ საწერს სტოლს და სასწაულთ-მომქმედობთ მისდა სასარგებლოდ. მჭევრმეტყველობის კანაფისაგან თქვენ ჰგრეხთ გრძელ ბაწარს და ამოგყავთ შეურაცხ-ჰყოფილი მინისტრი თქვენგანვე ამოთხრილ ღრმა ჭისაგან. თავდება წერილი და დელიანუსი არა თუ განთავისუფლებულია სულ სირცხვილისაგან,—აჰყვანილია კიდეც ტრიუმფით სასიქადულო პედესტალზე! ეს კიდევ ცოტა! მთელი ორი საათი თქვენ უზიხართ მაინც დაწერილს სტატიას და, სადაც რიგია, უმატებთ ქებას და ამკობთ შეგინებულს.—«შენ გაჰქებ, დელიანუს! შენ გადიდებ, დელიანუს! შენ გიჰკმევ გუნდრუკს, ჰოი, დელიანუს!»—ამბობთ და სწერთ თქვენ განუწყვეტელად, სანამ ტკბილი რული არ დაამშვიდებს თქვენს აღშფოთებულს სულს და არ განისვენებთ მეორე დღემდის.

ილ. ხონელი

მოქმედებას, ერი გულად შეუდგება ბრძოლას და იმდენს ხანს იბრძოლებს, ვიდრე თავის სურვილს შეისრულებსო.

ირლანდიელებს ძალიან ჭმუნვის ის გარემოება, რომ ინგლისში ისეთის სიმკაცრით და და საშინელებით წამოჭყო თავი სოციალ-რევოლიუციონებურმა მღელვარებამ. თუმცა ამ მღელვარებისა და არეულობის მოთავენი გაინდმანი, ჩამპიონი, ბერნსი და უილიამსი სამართალში არიან მიცემულნი, ესენი მაინც თავისას არ იშლიან და 21 ფებერვლისთვის საკვლავოდ დაუნიშნავთ კრება გაიდ-პარკში და შემდეგი წერილი მიუწერიათ გლადსტონისათვის: სოციალ-დემოკრატებურმა ფედერაციამ დანიშნა საჯარო კრება კვირას 21 ფებერვალს. ამ კრებაზე ფედერაცია მოსთხოვს მმართებლობას, ნუ მოაკლებს სამუშაოს იმათ, რომელნიც შიმშილით იხოცებიან და კი არა დაუშავებიათ-რაო. ჩვენ ბედნიერებად ჩავსთვლით, თუ შეგვეძლება გამოვუცხადოთ ხალხს, რომ მართებლობამ, წარსულ გაჭირვებულ დროთა მიხედულობით, გადასწყვიტა დაუყოვნებლივ საჭირო შენობათა აგებას შეუდგესო და ამით საქმე გაუჩინოს ულუკმა პუროდ დარჩენილს ხალხსაო.

16 ფებერვლის კრებაზე სოციალისტებს გადაუწყვეტიათ, რომ იქამდე ხელი უშალოთ პარლამენტს, ვიდრე არ დათანხმდება მუშებისთვის სადგომი სახლები ააშენოსო და აგრეთვე 8 საათზე მეტი ხანი არ ამუშაოს მუშები დღეშიო. ამ კრებაზე უილიამს უთქვამს, რომ მე რევოლიუციონერი ვარო. ბერნს უთქვამს, რომ თუ სოციალისტების სურვილი არ შეასრულესო, შემდეგი კრებანი უფრო ფიცხელნი იქმნებიან, ვიდრე ამას წინად ტრაფალგარის ბაღში იყოვო.

~~~~~~

ავსტრო-ვენგრია. გაზეთს «*Fremdenblatt*»-ს უთქვამს, რომ ბოლგარია და ოსმალო ვერ მოიქცნენ კარგად, რომ თავიანთ მორიგებაში ჩაურთეს ის მუხლი, რომელიც შეეხება ერთმანერთის შველას თავიანთის ჯარებითაო. განა არ შეიძლებოდა, რომ მორიგებაში ეს არა ყოფილიყო ჩართული და ისე კი მიეშველებინათ ხოლმე ერთმანერთისათვის თავიანთი ჯარებიო. მით უფრო მოსახერხებელი იყო ესა, რომ ბოლგარია როგორც დამოკიდებული სამთავრო ვალდებული იქნებოდა დაეცვა თავისის ჯარებით ოსმალეთი და თვით ოსმალეთს, როგორც ბოლგარიის მფარველს მიეშველებინა თავისი ჯარი ბოლგარიისათვის, როცა დასჭირდებოდაო. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ რუსეთი უარზედ აღარ დადგებოდა ამ მორიგების დამტკიცების გამოვო და თავის მხრით დაამტკიცებდა ოსმალ-ბოლგართ მორიგების ქაღალდსაო: ამ გარემოებას ძალიან გაუჯავრებია გაზ. «Новости». როგორ თუ ჩვენი ასეთი მოტყუება მოსვლია ფიქრად ავსტრიელს გაზეთსაო. განა ჩვენ ასე მოსატყუებელნიცა ვართ, რომ არ გვესმოდეს, რა განსხვავებაა სახელისა და სახრავის შუაო, ჩვენ იმაზედ კი არა ვდავობთ, იქნება თუ არა ჩართული საკამათო მუხლი ოსმალ-ბოლგართ მორიგებაში, იმასა ვთხოულობთ და სამართლიანადაც ვთხოულობთ, რომ ბოლგარია მოკავშირე არ იყოს ოსმალეთისა, თავიანთის ჯარებით არ ეშველებოდნენ ერთმანეთს და ბოლგარელი ჯარის კაცი ოსმალოსთან ერთად არ იდგეს მტრის პირის-პირაო. გერმანიიდამ განდევნილმა ავსტრიამ ხელი ახლა აღმოსავლეთისკენ გაიწვდინაო. დაიჭირა ბოსნია, ჰერცოგოვინა, ხელში ჩაიგდო სერბია, დარიგებას აძლევს რუმინიას და ბოლგარიაც უნდა ხელში მოიგდოსო. მაგრამ, განაგრძობს გაზეთი,—ეს ჩვენივე ბრალიაო. გაჩუმებული ვართ, ყველაფერს ვუთმობთ ჩვენს მტერს და ახლა ისე გაკადნიერდნენ, რომ უსირცხვილოდ ურჩევენ ოსმალსა და ბოლგარიას, ასე მოიქეცით სიტყვით და საქმით მაინც თქვენი გულის-წადილი შეისრულეთო.

~~~~~~

სერბია. სერბიას ფრიად გასაჭირი დღეები გაუთენდა. სისხლით დაცლილი ერი, ომით დაღლილი და დაქანცული, დამლეული ბოლგართაგან დღეს კიდევ სხვა უფრო საშინელის განსაცდელის წინა სდგას. საქმე ის არის, რომ წინანდელს სამეფო დინასტიას სერბიისას, რომლის წარმომადგენლად ითვლება პეტრე ყარაგეორგიევიჩი, ბევრი მომხრე აღმოსჩენია. თვით ის შეთქმულობაც, რომელზედაც ჩვენ გუშინდელს ნომერში ვლაპარაკობდით, ამ პეტრეს მომხრეთა საქმე ყოფილა.—პეტრე ყარაგეორგიევიჩი სიძეა ჩერნაგორიის მთავრის ნიკოლოზისა. ნიკოლოზის მოგზაურობას ევროპაში ამ საგანთან აქვს კავშირიო, ამტკიცებენ ზოგიერთი გაზეთები. ლონდონის გაზეთ. «*St. James Gazette*» დარწმუნებით ამბობს, რომ რუსეთს განზრახვა აქვს სერბიის ტახტიდამ გადააყენოს მეფე მილანი და მის ტახტზედ აიყვანოს თ. პეტრე ყარაგეორგიევიჩიო. ყველა ამ უბედურებასთან პეტრე ყარაგეორგიევიჩს დაუბეჭდია ერის ამაღელვებელი პროკლამაცია სერბიელების მიმართ. პროკლამაციაში ტახტის მძებნელი კაროლს მილანს უბედურს მეფეს ეძახის: მიზეზი ეგ არის სერბიის უმწვერვალესად გაჭირებულის მდგომარეობისა, სერბიის შერცხვენისაო და ეგვე შეიქნება მისის სიკვდილის მიზეზიცაო.

ამ შესანიშნავ პროკლამაციას შემდეგ მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით.

გასართობი

ბალი! ბალი!. ევროპიულად მორთულს სასტუმროში სხედან რამდენიმე «კუდოსან-მანდილოსანნი,» ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, «შლიაპოსანტიურნიუროსანნი» და, ყავის ფინჯნებით ხელში, სასიამოვნო მუსაიფში არიან.

— *Mesdames*! შეჰყვირა რიხიანის ხმით კარებში გაჩერებულმა ახლად შემოსულმა ყმაწვილმა კაცმა და ცნობის მოყვარეობის ნიშნად თვალი გადაავლო ყველას იქ მყოფთ და ხელში დაჭერილი შლიაპა მაღლა ასწია.

ყველამ ხმა გაკმინდა. ბუზის ფრენაც კი გასაგონი იყო ამ სიჩუმეში. ყველა რაღაც ცხელ-ცხელს ამბავს მოელოდა.

— ბალი!... ორი ბალი!... კრუჟოკში, წერა კითხვის და ნაწერის სცენაზედ მკითხველების ბალი! თაიგულები! ვენზილები! კატილიონი! ვალსი! დააყარა ზედი-ზედ ამოუსუნთქებლივ ახლად-შემოსულმა და ერთიც კიდევ გადაავლო იქ მყოფთა ამაყი თვალი.

აქ უნდა წარმოიდგინოთ, თორემ გარდმოსაცემად და ასაწერად მეტად ძნელია ხორციელის კაცისათვის, თუ რა არეულობა, რა «რევოლიუცია» მოხდა.

— ბალი! ბალები! ოსტატებისა და არტისტების ბალები! სად? როდის? როგორ?.... ათი-ათასი ამ გვარი მახილი გაისმა.

ჭაი «პარტნიორების» ძებნა, მზადება, ჩოჩქოლი!

მაგრამ რომელში სჯობია? რომელში წავიდეთ?.... აქ წერტილი და დუმილი... ხან-გრძლივი ყოყმანია.

ვის რათ უნდა ბალის საგნის შეტყობა, თუ რა მიზეზით იძლევა ბალი, რა მნიშვნელობა აქვს, რას უნდა მოხმარდეს იქ შემოსული ფული? ბალია! მორჩა და გათავდა.

ახლა პატივ-ცემულ ოსტატებისა და არტისტების წარმომადგენელთა ცილობა, ქიშპი, ბილეთების დარიგება, ხალხის მიზიდვა,—არა ჩვენს ბალში წამოდით, იქა სჯობს, იმათი ბალი რა სახსენებია...

— არა ჩვენს ბალში წამობრძანდით და სხვ.

ვნახოთ ვინ რომელს აჯობებს!...

~~~~~~

პეკინის ზნეთა ცენზორს ვანგაის ჩინეთის იმპერატორისთვის შემდეგი თხოვნა მიურთმევია: «უწინ ვერაფრით ვერ წაიყვანდი მოხელის ცოლს ეკკლესიაში და ქუჩაში თავს ვერ გამოაყოფინებდი, რადგანაც თვით ჯარის კაცის ცოლებიც-კი ოჯახებში ცხოვრებას ამჯობინებდნენ გარეთ წანწალსა და ხეტიალს. ამ ბოლოს დროს კი მეტად შეიცვალა ეს ჩვეულება, ყველა ქუჩებში და ყოველს ნაბიჯზე შეხვდებით ახალ-გაზდა მორთულ-მოპრანჭულებს, რომელნიც უსაქმოდ დატანტალებენ. ეს კიდევ არაფერი. ყველგან, ყველა გასართობ ადგილებში უმეტესად ქალები არიან: ყავახანებში და სამიკიტნოებშიაც კი ყველგან ქალების გროვას შეხვდებით. საზოგადოების ზნეობა თან-და-თან ირყვნება და ამიტომ მე, ამის ქვემორე ხელის მომწერი, გთხოვთ რომ აღკრძალოთ დედა-კაცების ამ გვარს ადგილებში სიარული და დაადგინოთ, რომ თუ ხსენებულს ადგილებში რომელიმე ქალი მივიდეს მსახურებით, მსახურები დატუსაღებულ იქმნენ და თუ მივიდეს მარტო, თვითონ ცოლი დაიჭირონ და ქმარი-კი სამართალში მისცენ. თუ მოხელის ცოლი იქნება, მაშინ ქმარი იქმნას სამსახურიდგან გამოგდებული და თუ ჯარის კაცის ცოლი, მაშინ მისი ქმარი გაიჯოხოს. ვინც ქალებს სხვა-და-სხვა გასართობ ადგილების ბილეთებს მიჰყიდის სამართალს სასჯელად მიეცეს.

დეპეშა

14 ფებერვალს

პეტერბურგი. გუშინ დიდი კრება მოხდა «სლავიანთა საზოგადოებისა». აქსაკოვის სახელმა იმოდენა ხალხი მოაგროვა, რომ ბევრნი ფეხზე იდგნენ გასავალ-გამოსავალშიაც კი. სხვათა შორის იყვნენ: მიტროპოლიტი მოსკოვისა, ეპისკოპოზი სამარისა და კავკასიისა, გენერალი იგნატიევი, ჩერნოგორიის ვოევოდა პეკო პავლოვიჩი და სხვანი. თავ-მჯდომარის ამხანაგმა ვასილჩიკოვმა კრება გახსნა იმითი რომ გამოაცხადა საზოგადო და საკუთარი მწუხარება აგრე უდროვოდ დაკარგულის მამულის შვილის გამო. შემდეგ წაკითხულ იქმნა წლიური ანგარიში; ლამანსკიმ წარუდგინა აქსაკოვის ბიოგრაფია, არისტოვმა ბესტიუჟევ-რიუმინის სახელით ახსნა მნიშვნელობა აქსაკოვისა და სთქვა რომ იგი იყოვო მებრძოლი სლავიანურის და რუსის იდეის გამარჯვებისათვისო. მილლერმა წარმოსთქვა სიტყვა შესახებ განსვენებულის პუბლიცისტებურ მოღვაწეობისა.

ათინა. საბერძნეთს განუზრახავს მოუცადოს საქმეთა მდინარეობას, არეულობის გამოსაწვევი არა რა ჩაიდინოს და პატივის ცემით მოექცეს ევროპიის სახელმწიფოთა. ევროპიის ესკადრები უწინდებურადვე სუდშის ნავთ-სადგურში დგანან. ხოლო საფრანგეთის ხომალდები კი პირეაში იმყოფებიან.

ბელგრადი. სერბიამ არ მიიღო ოსმალო-ბოლგართა მორიგების პროექტი და საბუთად უარისა ის გამოაცხადა რომ სერბიის პროექტი სრულად აკმაყოფილებს დიდთა სახელმწიფოთა სურვილსაო და ამიტომ შეცვლა მისი, სხვა რომ არა იყოს რა, მარტო უკანასკნელთა პატივისცემისა გამო შეუძლებელიაო. სერბიის ჯარებისათვის ბარგ-საზიდავის ურმების მზადება შეაყენესო.

ბუქარესტი. ოქმები შედგენილნი წინანდელ სხდომათა შესახებ, არ შესწორებულნი და ამიტომ ხელმოუწერელნი, დღეს მიღებულ იქმნენ მაიტოვიჩის მეოხებით.

ბირმინგამი. ერთს მახლობელ ქარხანაზე მუშებმა, პირი მისცეს რა ერთმანეთს, რომ აღარ იმუშაონ, არეულობა მოახდინეს და მალა იხმარეს. ეხლა ბირმინგამზე მოდიან. საფრთხილისათვის ჯეროვანი განკარგულება უკვე მოხდენილია.

«ივერიის» ფოსტა

ს—ნი. ნ. წ—ლს. სხვასთან მისვლა-მოსვლისთვის ჩვენ არა გვცალიან, თქვენ თითონ მიჰმართეთ «წერა-კითხვის საზოგადოებას». დანარჩენ თქვენს მონაწერს დიდის მადლობით აღვასრულებთ.

თ—ვს. ც—ლაძეს. თქვენი კორრესპონდენცია არ დაიბეჭდება: შიგ ის არ არის, რაც საჭიროა საზოგადოდ გაზეთისათვის. თუ სხვას უკეთესს გამოგვიგზავნით, დიდის მადლობით მივიღებთ.

ს—თავი. მ. გ.ა.—თქვენი კორრესპონდენცია დაიბეჭდება და ძალიან შემოკლებით კი.

ს—ნი. გ—ძეს. შარშანდელს ამბებს, გაზეთებში უკვე გამოცხადებულს, რომ ახალ ამბავებათ გვაცნობებთ, თქვენის ლიტერატორობის წყურვილის ჭირვეულობაა. რასაკვირველია, ამის იქით გაგიფთხილდებით.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ფებერვალი 28 დღით არის

16 დღე კვირა. წმ. მოწ. პამფილისა, ხორცით ალების-ღამე, დაწყება ყველიერისა. კათ. იულიანისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—43. ტფილისში მზე ამოდის 6—37. ჩადის 5—49. მთვარე ამოდის 3—11 ნღ. ჩადის 12—49.

უმაღლესი მანიფესტი საქართველოს შეერთებისა რუსეთთან, გამოცხადებული ტფილისის ქართულსა და სომხურს ეკკლესიებში 1801 წ.

17 დღე ორშაბათი. წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა, სომ. მარკოს ეპისკ., პიონი მღვდელ. და სხვ. კათოლ. დონატისა და თოდულისა. სომ წმ. მარკოზ ეპისკოპ. ჭეშმარიტი შუადღე 12—12—30. ტფილისში მზე ამოდის 6—35; ჩადის 5—50. მთვარე ამოდის 3—56 ნღ., ჩადის 1—38.

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 თებერვლიდამ 1-ლ მარტამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2¼ „
„ „ 2 „	2 „
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ „
მე-2 ხარისხისა	3 „
მე-3 —	2½ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 „
2 —	7 „
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 „
ცხვრის ხორცი	8 „
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	6 „
2-ის ხარისხ.	5 „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის — — — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

Дозволено цензурою Тифлисъ 15 февраля, 1886 года ექვთიმე ი. ხელაძის სტამბა სასპრნის ქუჩაზე, საკუთარ სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.
~~~~~~